საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 1 21 0000184938

02/03/2021

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოში ბრიტანეთის საბჭო გეგმავენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისურის როგორც სწავლების მედიუმის სტრატეგიის შემუშავებას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კვლევა "ინგლისურის როგორც სწავლების მედიუმის სტრატეგიის საკონსულტაციო მომსახურება" სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის: უცხოენოვანი პროგრამების განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები/ვიცე-რექტორები, ფაკულტეტების ხელმძღვანელები, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

კვლევისათვის მონაცემების შეგროვება განხორციელდება სამიზნე ჯგუფების მიერ ელექტრონული კითხვარის შევსების გზით. კითხვარები თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელებს ელექტრონული ფოსტით დაეგზავნება ბრიტანეთის საბჭოს მიერ.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

მიგვაჩნია, რომ დაგეგმილი ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით და გთხოვთ თანამშრომლობას კითხვარების შევსების პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის,

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

ნ. მიცკევიჩი